



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკი“

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა შეყილაძე

18 იანვარი 2021 წელი

N 1/36

ეგზ. N1

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ
გრანტების გაცემის და სახელშეკრულებო
პირობების შესრულების 2017 – 2019 წლების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი		
ტერმინები და შემოკლებები		3
შემაჯამებელი მიმოხილვა		4
რეკომენდაციები		6
ფონდს		6
სამინისტროს		7
1. შესავალი	8	
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა		8
აუდიტორის პასუხისმგებლობა		8
აუდიტის საგანი		8
აუდიტის მასშტაბი		8
აუდიტის კრიტერიუმები		9
აუდიტის მიზანი		9
აუდიტის მეთოდოლოგია		9
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ		11
2. აუდიტის მიგნებები	14	
საკონტაქტო ინფორმაცია		38

ტერმინები და შემოკლებები

FR – ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი.

AR – გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი.

წამყვანი ორგანიზაცია – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანი არის სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

სამუშაო ჯგუფი – ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი.

რუსთაველის ფონდი – სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

საქპატენტი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

თსუ – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ილიას უნივერსიტეტი – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ძეგლთა დაცვის ცენტრი – სსიპ – გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

ტექნიკური უნივერსიტეტი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

ჩერქეზული კულტურის ცენტრი – სსიპ – ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრი.

აგრარული უნივერსიტეტი – ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.

ვირუსოლოგიის ინსტიტუტი – სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

სამხარაულის ეროვნული ბიურო – სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

წულუკიძის ინსტიტუტი – სსიპ – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი.

წერეთლის უნივერსიტეტი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი – სსიპ – სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი.

რუსთაველის უნივერსიტეტი – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საავიაციო უნივერსიტეტი – შპს – საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფუნდამენტური კვლევების კონკურსი

მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ახალი ცოდნის შესაქმნელად და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად საქართველოს განათლების მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია.¹ მოცემული მიზნის მისაღწევად გამოყოფილია სახელმწიფო დაფინანსება, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის 0,3%-ს შეადგენს.² კვლევების ხელშეწყობის მიზნით, 2010 წელს დაარსდა სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომელიც კონკურსის საფუძველზე გასცემს გრანტებს მეცნიერების ყველა დარგში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის და სახელშეკრულებო პირობების შესრულების 2017-2019 წლების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

კონკურსანტებისათვის დაზუსტების მექანიზმის შეზღუდვა

2017-2018 წლებში, ტექნიკური ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფისა და ფონდის ხელმძღვანელობის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების შედეგად, დაზუსტების უფლების გარეშე საგრანტო კონკურსიდან მოიხსნა 1,116.855 ლარის ღირებულების შვიდი სამეცნიერო პროექტი, მაშინ როცა სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, ფონდმა საშუალება მისცა კონკურსანტებს დაეზუსტებინათ ხარვეზის მქონე დოკუმენტაცია ან ინფორმაცია. აღნიშნულის შედეგად, მონაწილეები აღმოჩნდნენ არათანაბარ პირობებში.

შემზღუდველი საკონკურსო პირობები და არათანაბარი მიდგომა

ფონდის მიერ შემუშავებული რეგულაციები არ არის შესაბამისობაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებთან. აღნიშნულის შედეგად, მხოლოდ 2018 წელს, ფუნდამენტური და გამოყენებითი საგრანტო კონკურსის ფარგლებში, პირველივე ეტაპიდან მოიხსნა 45 საგრანტო პროექტი.

შეფასება განსხვავებული საპროექტო დოკუმენტაციით

საგრანტო წინადადებების შესაფასებლად ექსპერტებს წარედგინებათ აპლიკანტის ინგლისურენოვანი ვერსია, ხოლო ხელშეკრულება ფორმდება ქართულ ვერსიაში ჩამოყალიბებული პირობების საფუძველზე. ფონდი არ ახორციელებდა საპროექტო დოკუმენტაციის ინგლისური და ქართული ვერსიების შედარებას. შედეგად, გარკვეულ შემთხვევებში პროექტის ინგლისურენოვან ვერსიაში ექსპერტი აფასებდა კვლევის მიზნებს, ამოცანებს, მეთოდოლოგიასა და ინოვაციურობას, რომელზეც შემდგომ, ხელშეკრულების თანახმად, კონკურსანტი არ იღებდა ვალდებულებას.

2017 – 2019 წლებში გამოვლინდა ასეთი 12 შემთხვევა, სადაც მნიშვნელოვანი სხვაობები ფიქსირდება პროექტის ქართულ და ინგლისურენოვან ვერსიებს შორის, რაც მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, შესაძლოა კონკურსიდან მოხსნის საფუძველი გამხდარიყო.

¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, თავი 5.5, მეცნიერება, ტექნოლოგია, ინოვაცია.

² საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, თავი 5.5, მეცნიერება, ტექნოლოგია, ინოვაცია.

სამეცნიერო შეფასება დაუსაბუთებელი ჩარევით

2017 წლის ფუნდამენტური საგრანტო კონკურსის ფარგლებში, ფონდის არათანმიმდევრული და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების შედეგად, არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ მონაწილე კონკურსანტები. კერძოდ, პროექტების შეფასების შედეგების ხელახლა გადახედვას 192 პროექტის ნაცვლად დაექვემდებარა მხოლოდ 82 პროექტი, რამაც გავლენა იქონია კონკურსის საბოლოო შედეგებზე.

გამოყენებითი კვლევების კონკურსი

ადმინისტრირების ნაკლოვანებები

ტექნიკური ექსპერტიზის არასრულყოფილად განხორციელების შედეგად, ფონდის მიერ დაფინანსებულია 1,959,600 ლარის ღირებულების ისეთი პროექტები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ გამარჯვებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.

არაპატენტუნარიანი სამეცნიერო პროექტები

გამოყენებითი საგრანტო კვლევების კონკურსის ადმინისტრირებისას არ არის გათვალისწინებული პატენტის ერთადერთი მარეგისტრირებელი ორგანოს, საქპატენტის დასკვნები, კონცეფციის პატენტუნარიანობასთან დაკავშირებით. შედეგად, დადგენილი ნორმების მოთხოვნათა უგულებელყოფით დაფინანსდა 2,068,330 ლარის ღირებულების საგრანტო პროექტი.

საგრანტო პროექტების შესრულება

საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების ნაკლოვანება

ფონდი და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრი ერთობლივად ახორციელებს ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსს. 2017 წლის კონკურსის ფარგლებში, ფონდმა აიღო ვალდებულება – დაეფარა დაფინანსების 50%, რაც ეწინააღმდეგება მინისტრის ბრძანებით დადგენილ ნორმას, რომლის მიხედვით, დაფინანსება უნდა შეადგენდეს 30%-ს. შესაბამისად, ფონდის ხელმძღვანელობამ დაუსაბუთებლად აიღო ვალდებულება, ზედმეტად აენაზღაურებინა გრანტის მიმღები სუბიექტებისთვის 35,334 ლარი.

დაუსაბუთებელი სამივლინებო ანაზღაურება

ფონდმა, სამეცნიერო კვლევითი პროექტის ფარგლებში, მოქმედი მარეგულირებელი ნორმების შეუსაბამოდ დააფინანსა სასტუმროსა და დღიური ნორმის ხარჯები, საერთო ღირებულებით – 20,055 ლარი. მივლინებული პირები იმყოფებოდნენ 30 კმ-მდე მანძილზე, საიდანაც შესაძლებელი იყო სამუშაო (საცხოვრებელი) ადგილზე იმავე დღეს დაბრუნება. ამასთანავე, მივლინებული პირები იმავე ადგილას გრანტის მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იყვნენ მუდმივი საცხოვრებელით.

დაუსრულებელი კვლევები

ფონდში აღრიცხულია საგრანტო პროექტები 8,313,517 ლარის ღირებულებით, რომლებიც უნდა დასრულებულიყო 2010 – 2019 წლებში. ფონდს არ აქვს შემუშავებული კრიტერიუმები შესრულების ვალდებულების გადავადების შესახებ. შედეგად, ფონდმა დააკმაყოფილა ყველა მიმართვა ვალდებულების გადავადებასთან მიმართებით და არ შეწყვიტა ხელშეკრულება არც ერთ გრანტის მიმღებთან.

ხელშეკრულების დაუსაბუთებელი ცვლილებები

ფონდის გადაწყვეტილებები ხელშეკრულების პირობების ცვლილებასთან

დაკავშირებით არ არის სათანადოდ დასაბუთებული. საპასუხო წერილებში არ არის ასახული ის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც უარი ეთქვათ განმცხადებლებს ცვლილებებზე. რიგ შემთხვევებში ცვლილების საფუძველია სამეცნიერო ჯგუფებთან გამართული ინდივიდუალური შეხვედრები ან/და სატელეფონო საუბრები. შედეგად, ხელშემკვრელ მხარეებთან საკითხების დაზუსტება არათანაბარ პირობებში ხორციელდება.

სამეცნიერო ღირებულების შეფასების უზულებელყოფა

2017 – 2019 წლებში საგრანტო დაფინანსებისათვის გაწეულია 50,849,179 ლარის საკასო ხარჯი. მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ფონდს არ აქვს დანერგილი მექანიზმი და შესაბამისად, არ ახორციელებს პროექტების სამეცნიერო ღირებულებისა და ეფექტიანობის შეფასებას.

რეკომენდაციები

ფონდს

რეკომენდაცია N1.

ფონდის ხელმძღვანელობამ საგრანტო კონკურსის ეფექტიანი ადმინისტრირებისა და მონაწილეთა მიმართ თანასწორუფლებიანი მიდგომის მიზნით, კრიტერიუმების შემუშავებისას გაითვალისწინოს დაზუსტების და შეიმუშაოს ტექნიკური ექსპერტიზის განხორციელების ეფექტიანი მექანიზმები, მათ შორის, დეტალური ინსტრუქციები და სამუშაოს გადამოწმების დონეები.

რეკომენდაცია N2.

ფონდის ხელმძღვანელობამ საგრანტო კონკურსის მონაწილეთა მიმართ თანასწორუფლებიანი მიდგომისა და სამეცნიერო პროექტების სრულფასოვანი შესწავლის მიზნით, შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოებო ვალდებულებების აღებას სამეცნიერო შეფასების იდენტური ვერსიის საფუძველზე.

რეკომენდაცია N3.

ფონდის ხელმძღვანელობამ საგრანტო პროექტების სამეცნიერო შეფასების ეფექტიანი ადმინისტრირების მიზნით, შეიმუშაოს შესაბამისი ინსტრუქციები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, დროის ფაქტორისა და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სადავო საკითხების გადაწყვეტას, რელევანტური კრიტერიუმების საფუძველზე.

რეკომენდაცია N4.

ფონდის ხელმძღვანელობამ სამეცნიერო კვლევის კონცეფციის პატენტუნარიანობის სრულყოფილად შეფასების მიზნით, უზრუნველყოს საქპატენტის როლის ინტეგრირება შეფასების პროცესში, რითაც გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი დარგის ექსპერტების მოსაზრება იდეის პატენტუნარიანობასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია N5.

ფონდის ხელმძღვანელობამ სამეცნიერო პროექტების დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის სრულყოფილად შემოწმების მიზნით, შეიმუშაოს დეტალური ინსტრუქციები ტექნიკური ექსპერტიზის სამუშაოს ეტაპებთან დაკავშირებით, რათა გამოირიცხოს მიკერძოებული გადაწყვეტილებებისა და დისკრიმინაციული შემთხვევების არსებობა.

რეკომენდაცია N6.

ფონდის ხელმძღვანელობამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ვალდებულებების მართლზომიერად შემუშავების მიზნით, შექმნას კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ვალდებულებების მართვას მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

რეკომენდაცია N7.

ფონდის ხელმძღვანელობამ საბიუჯეტო სახსრების მართლზომიერად განკარგვისა და დანახარჯების სრულყოფილად დასაბუთების მიზნით, შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების სრულფასოვან შემოწმებას და შემდგომში – შესრულებული სამუშაოს ეფექტიან მონიტორინგს.

რეკომენდაცია N8.

ფონდის ხელმძღვანელობამ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისა და თანმდევი ღონისძიებების ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფის მიზნით, შეიმუშაოს რელევანტური კრიტერიუმები და დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომლის მიხედვით განხორციელდება ხარვეზის გამოსწორების ვადები, ხელშეკრულების ცვლილება ან გაიცემა დასაბუთებული უარი;

სამინისტროს

სამინისტროს ხელმძღვანელობამ, საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანად განკარგვის მიზნით, გააუმჯობესოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების შესრულებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია N9.

ფონდის ხელმძღვანელობამ საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი მართვის მიზნით, უზრუნველყოს საგრანტო პროექტების სამეცნიერო ღირებულებისა და ეფექტიანობის შეფასება, რაც გაწეული საქმიანობის შედეგების ანალიზის საშუალებას მისცემს. შეფასების შედეგები შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნეს შემდგომში საგრანტო კონკურსში მონაწილის მიერ წარდგენილი პროექტის შეფასების პროცესში.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლებრივი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის და სახელშეკრულებო პირობების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის და სახელშეკრულებო პირობების შესრულება.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცავა 01.01.2017 – 01.01.2020 წლებში ფონდის მიერ (ორგანიზაციული კლასიფიკაციით გათვალისწინებული 32 05 01 02 კოდით) გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევებისათვის გაცემული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები, ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაცემული სამეცნიერო გრანტები.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილება „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილება „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“;

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 ივნისის N74 ბრძანება „2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“;

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 20 ივნისის N80 ბრძანება „2018 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“;

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის N99 ბრძანება „2018 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“;

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 4 ივნისის N67 ბრძანება „2019 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“;

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 8 აპრილის N33 ბრძანება „2019 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

საუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;

სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;

-) აღნიშნულ სფეროში არსებული კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა;
-) ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
-) მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზებისა და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი) და სხვ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარებას. ფონდის მიზანია ინოვაციური სამეცნიერო კვლევების ხარისხის, მნიშვნელობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის უზრუნველყოფით ქვეყანაში მკვლევართა ახალი თაობების მომზადება, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციებისა და სამეცნიერო საზოგადოების კვლევითი პოტენციალის ზრდა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში საქართველოს მეცნიერთა ინტეგრირების ხელშეწყობა.


ფონდის მართვის ორგანოებია საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო და გენერალური დირექტორი. საბჭოს წევრები არიან წამყვანი ქართველი და უცხოელი მეცნიერები და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. ფონდის საერთო სტრუქტურა შემდეგი სახისაა:

ინფორმაცია N1. ფონდის ძირითადი სტრუქტურის შესახებ



ფონდის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნება და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები. საგრანტო დაფინანსება აკუმულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ორგანიზაციული კლასიფიკაციის 32 05 01 02 კოდით, რომლითაც ფინანსდება სამეცნიერო საგრანტო კონკურსები. 2017 – 2020 წლებში დამტკიცებული გეგმით აღნიშნულმა თანხამ სულ შეადგენდა 61,149,733 ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 50,849,179 ლარი.³

დიაგრამა N1. ინფორმაცია 2017-2020 წლების ბიუჯეტის გეგმისა და საკასო ხარჯების შესახებ



ფონდის ყოველწლიური ბიუჯეტი მოიცავს როგორც მიმდინარე საგრანტო კონკურსების დაფინანსებას, ასევე წინა წლებში გაცემული საგრანტო დაფინანსების სავალდებულო ტრანშეებს. ბიუჯეტის ათვისების მაჩვენებელი

³ ბიუჯეტის გეგმა არ ითვალისწინებს წინა წლების (2017 წლამდე) ვალდებულებებს, რომლებიც შესაძლოა გათვალისწინებული იყოს მიმდინარე წლის ბიუჯეტით.

ყოველწლიურ დინამიკაში მაღალია, გარდა 2020 წლისა, რადგან ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გამო, რიგი კონკურსები გაუქმდა, ხოლო არსებულ ხელშეკრულებებში შევიდა ცვლილება, რის მიხედვითაც ფონდი გასცემს მხოლოდ ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებას.

2017 – 2019 წლებში ფონდმა საერთო ჯამში განახორციელა 30 საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება, რომლებიც ეფუძნება საქართველოს მთავრობის დადგენილებასა და სამინისტროს ბრძანებებს. კონკურსი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად, რომლის მიხედვითაც ხორციელდება საუკეთესო სამეცნიერო პროექტების შერჩევა და დაფინანსება.

ინფორმაცია N2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების ეტაპების შესახებ




საგრანტო კონკურსის ბენეფიციარს ძირითადად წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრულია მიზანი – სამეცნიერო კვლევების განხორციელება. ასეთი სახის ორგანიზაცია შემდგომში ხდება გრანტის მიმღები სუბიექტი, რომელიც ახორციელებს მიღებული საგრანტო დაფინანსების ადმინისტრირებას, კერძოდ: პერსონალის საგრანტო დაფინანსება, შესყიდვების განხორციელება, სამივლინებო ანაზღაურება და სხვ.

კონკურსის მოთხოვნების მიხედვით, სამეცნიერო ჯგუფი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საგრანტო კონკურსში წამყვანი ორგანიზაციის სახელით ან დამოუკიდებლად, როგორც ფიზიკურმა პირმა.


2017 – 2019 წლებში დაფინანსებულ საგრანტო პროექტებში, საგანმანათლებლო წამყვან ორგანიზაციებს შორის ლიდერობენ შემდეგი სუბიექტები: თსუ – საერთო პროექტების 30%, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – საერთო პროექტების 16%, ტექნიკური უნივერსიტეტი – საერთო პროექტების 7%, აგრარული უნივერსიტეტი – საერთო პროექტების 5% და ეროვნული მუზეუმი – საერთო პროექტების 2%. დარჩენილი 40% მოიცავს 365 საგრანტო პროექტს, რომელიც ნაწილდება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.

დიაგრამა N2. ინფორმაცია 2017-2019 წლებში წამყვანი ორგანიზაციების მიერ მოპოვებული გრანტების შესახებ



ფონდი სამეცნიერო გრანტების დაფინანსებას მრავალი მიმართულებით ახორციელებს. სამეცნიერო კლასიფიკატორი, რომელიც დამტკიცებულია ფონდის მიერ, მოიცავს 7 ძირითად და 48 ქვემიმართულებას. შესაბამისად, კონკრეტული პრიორიტეტული მიმართულება როგორც საკანონმდებლო, ასევე ადმინისტრირების წესის მიხედვით, განსაზღვრული არ არის. ფონდის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებებია:


ინფორმაცია N3. ფონდის ძირითადი სამეცნიერო მიმართულების შესახებ



კონკურსში მონაწილე მეცნიერი თავად ირჩევს სასურველ სამეცნიერო მიმართულებას და პროექტის ხანგრძლივობას, რის მიხედვითაც განისაზღვრება მაქსიმალური წლიური ბიუჯეტი.

2017 – 2019 წლებში დაფინანსებულ საგრანტო პროექტებში, სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით, ლიდერობს საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, რომლებიც საერთო პროექტების 63%-ს შეადგენს, დარჩენილი 37% ნაწილდება მედიცინაზე, ინჟინერიაზე და საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებზე.

დიაგრამა N3. ინფორმაცია 2017 – 2019 წლებში დაფინანსებული პროექტების შესახებ სამეცნიერო მიმართულების მიხედვით



ფონდი ასევე ახორციელებს საწევრო შენატანებს შესაბამის ორგანიზაციებში. წლიური საწევრო გადასახადების უზრუნველყოფის გზით საქართველოს მეცნიერებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ისეთი საერთაშორისო კვლევითი ცენტრების პროექტებში, როგორებიცაა: ბირთვული კვლევის ევროპული ორგანიზაცია (CERN) და ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი (JIUR DUBNA). 2015 წლიდან ფონდი კოორდინაციას უწევდა 21 ინსტიტუტისგან შემდგარი კონსორციუმისთვის საერთაშორისო სამეცნიერო გამომცემლობა ELSEVIER-ის ელექტრონულ ბაზებთან (Science Direct, Scopus) წვდომის უზრუნველყოფას, ხოლო 2019 წლიდან კონსორციუმის წევრთა რაოდენობა 55-მდე გაიზარდა.

2. აუდიტის მიგნებები


2.1 ფუნდამენტური კვლევების კონკურსი

ფონდი ყოველწლიურად ახორციელებს ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსს. კონკურსის მიზანია ახალი ცოდნის შექმნა, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლა-ანალიზი. დასაფინანსებელ კვლევას არ მოეთხოვება უშუალო კომერციული სარგებლიანობა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა გახდეს სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის საფუძველი.

ფუნდამენტური კვლევის საგრანტო კონკურსი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან, რის საფუძველზეც მიმდინარეობს საუკეთესო პროექტების შერჩევა, გამარჯვებულის გამოვლენა და დაფინანსება. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტები თავდაპირველად გადიან ტექნიკური ექსპერტიზის ეტაპს. მოცემული პროცესისათვის შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ამოწმებენ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას დადგენილ ნორმებთან. აღნიშნული ეტაპის გადალახვის შემდგომ პროექტები იგზავნება სამეცნიერო ექსპერტიზაზე. გამარჯვებული პროექტების გამოვლენა ხორციელდება მიღებული შეფასებების, დისციპლინების გათვალისწინებით მომზადებული რანჟირებული სიებისა და დამტკიცებული დაფინანსების წესის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს მათემატიკურ ალგორითმს. ალგორითმი ერთგვარი მექანიზმია, რომელიც ახორციელებს საუკეთესო შეფასების მქონე პროექტების გამარჯვებულად გამოვლენას, გამოყოფილი ბიუჯეტისა და დისციპლინების პრინციპის გათვალისწინებით.

2017 – 2019 წლებში განხორციელებული ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსების შედეგად გაფორმდა 233 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით – 43,026,288 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 23,824,612 ლარი. დაფინანსებულ პროექტებში სამეცნიერო დისციპლინების მიხედვით, ლიდერობს საბუნებისმეტყველო, ინჟინერიისა და ტექნოლოგიის, აგრეთვე ჰუმანიტარული მეცნიერებები, ხოლო სხვა დანარჩენი ნაწილდება სამედიცინო, საქართველოს შემსწავლელ, სოციალურ და აგრარულ მეცნიერებებზე.

ინფოგრაფიკა N4. ინფორმაცია დაფინანსებული პროექტების შესახებ, სახელშეკრულებო ღირებულებისა და სამეცნიერო დისციპლინების გათვალისწინებით



კონკურსზე რეგისტრირებული საგრანტო პროექტების სამეცნიერო შეფასებას ფონდი შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე, ახორციელებს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების ექსპერტიზის გამოცდილების მქონე ორგანიზაციების

მეშვეობით. სამეცნიერო შეფასებაში უცხოელი ექსპერტების ჩართვის აუცილებლობა, ფონდის განმარტებით, გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

1) სამეცნიერო საზოგადოების სიმცირის გამო, მეცნიერთა უმეტესი ნაწილი თავად არის საპროექტო განაცხადის ავტორი ან მონაწილე. შესაბამისად, მომსახურების საქართველოში მიღება დაკავშირებულია გარდაუვალ ინტერესთა კონფლიქტთან;

2) რთულია იმ რაოდენობის დამოუკიდებელი ექსპერტის (მეცნიერის) მოძიება საქართველოში, რომელიც საჭიროა კონკურსების წარმატებით ადმინისტრირებისათვის;

3) მომსახურების სპეციფიკური ინტელექტუალური ხასიათიდან გამომდინარე, მიმწოდებლის შერჩევა, ძირითადად, ემყარება მის საერთაშორისო რეპუტაციას, სამეცნიერო ფონდებთან თანამშრომლობის გათვალისწინებით.

შესაბამისად, კონკურსზე დარეგისტრირებული განაცხადების საექსპერტო შეფასების ქვეყნის გარეთ გატანა უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ მიუკერძოებელ შეფასებას, საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად. 2019 წლიდან რუსთაველის ფონდი თანამშრომლობს ევროპის სამეცნიერო ფონდთან, მათ მიერ მომზადებულ დასკვნებსა და შეფასებებზე ქართველი მეცნიერების მხრიდან უარყოფითი განცხადებები ან საჩივრები უმეტეს შემთხვევებში არ ფიქსირდება.

2.1.1 დაზუსტების მექანიზმის შეზღუდვა კონკურსანტებისათვის

კრიტერიუმი: საგრანტო კონკურსში მონაწილე სამეცნიერო ჯგუფი შედგება ძირითადი პერსონალისაგან (არაახალგაზრდა მეცნიერები) და ახალგაზრდა მეცნიერებისგან. ახალგაზრდა მეცნიერია პირი – მაგისტრი ან დოქტორი, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არა უმეტეს 7 წელი. ასევე ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსი შესაძლებელია განესაზღვროს (მიენიჭოს) პირს, რომელიც არის მაგისტრატურის, რეზიდენტურის ან დოქტორანტურის სტუდენტი.⁴

საგრანტო კონკურსზე პროექტის დარეგისტრირებისას, აპლიკანტი უთითებს კონკრეტულ პირებს, რომლებიც პროექტში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ახალგაზრდა ან არაახალგაზრდა მეცნიერები. სამუშაო ჯგუფი ამოწმებს მეცნიერთა სტატუსებს და თუ აღმოჩნდა, რომ პირი ვერ აკმაყოფილებს ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსს, მოქმედი წესის მიხედვით დადგინდება ხარვეზი და მონაწილეს მიეცემა საშუალება წარადგინოს შესაბამისი განათლების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.⁵

გარემოება: ფონდმა 2017⁶-2018⁷ წლებში გამოაცხადა ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსები. კონკურსანტებს დოკუმენტაცია უნდა აეტვირთათ (წარედგინათ) შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაში,⁸ როგორცაა: საპროექტო წინადადება, კვლევის განმახორციელებელი სამეცნიერო ჯგუფის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი/ცნობა, ბიუჯეტი და სხვ.

⁴ გენერალური დირექტორის 16.06.2017 წ. N74 ბრძანების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები.

⁵ გენერალური დირექტორის 16.06.2017 წ. N74 ბრძანების მე-4 მუხლის მოთხოვნები.

⁶ 2017 წლის 16 ივნისი, განცხადების წარდგენის ბოლო ვადა - 2017 წლის 19 ივნისი.

⁷ 2018 წლის 20 ივნისი, განცხადების წარდგენის ბოლო ვადა - 2018 წლის 27 ივნისი.

⁸ 2017 წელს ფონდის მიერ მომზადებული პლატფორმა - https://rustaveli.org.ge/projects_fr/user/login; 2018 წელს - სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა GEMUS.

ტექნიკური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, 2017 წელს – 185 პროექტს, ხოლო 2018 წელს 88 პროექტს დაუდგინდა კონკურსის პირობებთან შეუსაბამობა ერთ ან რამდენიმე კომპონენტში.

ცხრილი N1. ინფორმაცია კონკურსში შესული განაცხადების და სამეცნიერო შეფასების ეტაპზე გადასული პროექტების შესახებ

წელი	შესული განაცხადების რაოდენობა	შეუსაბამო პროექტების რაოდენობა	სამეცნიერო ექსპერტიზის ეტაპზე გადასული პროექტების რაოდენობა
2017	601	185	416
2018	535	87	448
სულ:	1,136	272	864

ტექნიკური ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის შეფასება რიგ შემთხვევებში დაუსაბუთებელია და შედეგად, არათანაბარ პირობებში აღმოჩნდა კონკურსში მონაწილე მეცნიერთა ჯგუფები, კერძოდ:

ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესის საფუძველზე, კონკურსანტის მიერ წარდგენილი საბიუჯეტო მონაცემები ყველა შემთხვევაში განიხილებოდა როგორც კონკურსის შინაარსობრივი დოკუმენტაცია და მისი დაზუსტების ან მცირედი კორექტირების საშუალება კონკურსანტებს არ ეძლეოდათ. შესაბამისად, რაიმე ცდომილების შემთხვევაში პროექტი უპირობოდ იხსნებოდა კონკურსიდან.

ბიუჯეტში ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება ნაწილდება ორ ჯგუფზე, ახალგაზრდა და არაახალგაზრდა მეცნიერებზე. მაგალითად, თუ ახალგაზრდა მეცნიერებისათვის დაფინანსება შეადგენს 15,000 ლარს, ხოლო არაახალგაზრდა მეცნიერებისათვის – 25,000 ლარს და ახალგაზრდა მეცნიერების ჯგუფის რომელიმე წევრმა ვერ დაადასტურა ეს სტატუსი, 15,000 ლარს გამოაკლდება აღნიშნული მეცნიერის საგრანტო დაფინანსება და დაემატება 25,000 ლარს, არაახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფს. შესაბამისად, როდესაც მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერი ვერ ადასტურებს სტატუსს, აღნიშნული ავტომატურად იწვევს ბიუჯეტის ცვლილებას.

აღნიშნული მოტივით ტექნიკური ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფმა შეუსაბამობა დაუდგინა 7 სამეცნიერო განაცხადს, რადგან მონაწილე მეცნიერებს არ დაუდასტურდათ ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსები, რითიც დაირღვა მეცნიერთა საგრანტო დაფინანსების⁹ ლიმიტები.

ცხრილი N2. ინფორმაცია 2017-2018 წლებში კონკურსიდან მოხსნილი 7 სამეცნიერო პროექტის შესახებ

N	პროექტის შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	პროექტის ღირებულება
1	FR-17-18	სამედიცინო უნივერსიტეტი	138,500
4	FR-17-273	სამედიცინო უნივერსიტეტი	139,499
2	FR-17-61	ილიას უნივერსიტეტი	139,580
3	FR-17-242	სამედიცინო უნივერსიტეტი	140,000
5	FR-17-424	ტექნიკური უნივერსიტეტი	140,000
6	FR-17-583	ტექნიკური უნივერსიტეტი	209,600
7	FR-18-116	ბიომედიცინის ცენტრი	209,676
ჯამი:			1,116,855

⁹ პროექტის მონაწილეთა შრომის ანაზღაურება.

ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით,¹⁰ აღნიშნულ შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი ვალდებული იყო პროექტების კონკურსიდან მოხსნის ნაცვლად დაედგინა ხარვეზი და მიეცა ვადა მისი გამოსწორებისათვის, როგორც ეს განახორციელა სხვა პროექტებთან მიმართებით,¹¹ ხოლო ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსის დადასტურების შემთხვევაში, დაფინანსების ლიმიტების შეუსაბამობა ავტომატურად მოიხსნებოდა.

აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა დამატებითი მტკიცებულებები N2 ცხრილში მოყვანილი მეცნიერ-თანამშრომლების ხარისხის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, რითიც დაადგინა, რომ კონკურსის გამოცხადების თარიღამდე 7 წლის განმავლობაში მათ მიღებული აქვთ შესაბამისი ხარისხი ან ამ პერიოდში ისინი სწავლობდნენ, რაც ერთადერთი კრიტერიუმია ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, პროექტები სრულად აკმაყოფილებდნენ საკონკურსო მოთხოვნებს და დაზუსტების მექანიზმის გამოყენებით უნდა გადასულიყვნენ სამეცნიერო შეფასების ეტაპზე.

დასკვნა

სამუშაო ჯგუფისა და გენერალური დირექტორის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების შედეგად, კონკურსებიდან მოიხსნა 1,116,855 ლარის ღირებულების 7 საპროექტო განაცხადი, როდესაც სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, ასეთი გადაწყვეტილებები არ იქნა მიღებული, რამაც შექმნა არაკონკურენტული გარემო და არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ მონაწილეები.

2.1.2 შემზღუდველი საკონკურსო პირობები და არათანაბარი მიდგომა

კრიტერიუმი: კონკურსების ადმინისტრირება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის მიხედვით,¹² ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით,¹³ მაგრამ თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით, ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი, ან ინფორმაცია.¹⁴

შემოაღნიშნული მოთხოვნების მიუხედავად, ფონდს დადგენილი აქვს განსხვავებული წესი. გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული, „2017-2018 წლების გამოყენებითი და ფუნდამენტური საგრანტო კონკურსების ადმინისტრირების წესის“ მიხედვით, საკონკურსო დოკუმენტაცია იყოფოდა 2 ნაწილად – **შინაარსობრივი და თანდართული**. შინაარსობრივ დოკუმენტებს განეკუთვნებოდა, მაგალითად, ბიუჯეტი, ავტობიოგრაფია, რეზიუმე (CV),

¹⁰ გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 ივნისის N74 ბრძანების მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის, მე-3 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები. გენერალური დირექტორის 2018 წლის 20 ივნისის N80 ბრძანების მე-4 მუხლის, პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის, მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

¹¹ სამუშაო ჯგუფის ოქმი N1, 24.07.2017 წ. FR-17-494; FR-17-555; FR-17-607. სამუშაო ჯგუფის ოქმი N1, 02.08.2017 წ. FR-18-27262; FR-18-12500; FR-18-009.

¹² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

¹³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.


¹⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

საპროექტო წინადადება, განხორციელების გეგმა-გრაფიკი და სხვ., ხოლო თანდართულ დოკუმენტებს – თანადაფინანსების ცნობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ წერილი და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფონდი არ აძლევდა საშუალებას კონკურსანტებს დაეზუსტებინათ კონკურსის შინაარსობრივი დოკუმენტაცია და მათ მიმართავდა მხოლოდ **თანდართული დოკუმენტაციის** დამატებით წარდგენის თაობაზე.

გარემოება: დაუსაბუთებელია ფონდის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული წესები, რომელთა მიხედვით დოკუმენტები წინასწარ დაიყო, **შინაარსობრივ და თანდართულ** ნაწილებად. აღსანიშნავია, რომ მოცემული დაყოფა არ ეფუძნება კონკრეტულ კრიტერიუმებსა თუ ნორმებს. მაგალითად, რატომ არის ავტობიოგრაფია, რეზიუმე (CV) შინაარსობრივი ნაწილის დოკუმენტი, ხოლო დიპლომი – თანდართული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურსანტებს საშუალება უნდა მიეცეთ წარადგინონ დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია, რაც აუცილებელი იქნებოდა საქმის გადაწყვეტისათვის.¹⁵

მხოლოდ 2017-2018 წლებში კონკურსის შინაარსობრივი დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის მოტივით, კონკურსიდან მოიხსნა 208 საპროექტო განაცხადი.

დიაგრამა N4. ინფორმაცია 2017-2018 წლებში ფუნდამენტური საგრანტო კონკურსიდან მოხსნილი პროექტების შესახებ



როგორც წარმოდგენილ დიაგრამაშია მითითებული, იმ პროექტებიდან, რომლებიც მოიხსნა საგრანტო კონკურსებიდან, 78% ისეთი შემთხვევებია, როდესაც ფონდმა არ მისცა საშუალება კონკურსანტს დაეზუსტებინა ინფორმაცია, შინაარსობრივი ნაწილის მოტივით. ამავდროულად, აუდიტის შედეგად გამოვლენილია გარემოებები, როდესაც ერთი და იმავე წესის მოქმედების პერიოდში აპლიკანტთა ერთ ჯგუფს მიეცა შინაარსობრივი ნაწილის დაზუსტების საშუალება, ხოლო სხვა შემთხვევაში, დაზუსტების გარეშე, უპირობოდ მოიხსნა კონკურსის ეტაპიდან, კერძოდ:

როგორც აღინიშნა, 2018 წლის ფუნდამენტური და გამოყენებითი საგრანტო კონკურსისათვის მოქმედებდა დოკუმენტაციის წარდგენის ანალოგიური წესი. გამოყენებითი საგრანტო კონკურსის განხორციელებისას, ტექნიკური ექსპერტიზის დროს სამუშაო ჯგუფმა საშუალება მისცა კონკურსანტებს

¹⁵ 2019 წელს აღნიშნული შეზღუდვები მოიხსნა ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ახალი წესის საფუძველზე.

დაეზუსტებინათ ინფორმაცია პიროვნების გამოცდილებისა და სხვა კვალიფიკაციების შესახებ – ავტობიოგრაფია, რეზიუმე (CV), რაც წარმოადგენს კონკურსის შინაარსობრივი ნაწილის დოკუმენტაციას.¹⁶ ამავდროულად, ამავე წლის ფუნდამენტური საგრანტო კონკურსის მიმდინარეობისას, სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციისა და ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, კონკურსის პირველივე ეტაპიდან მოიხსნა 45 საგრანტო პროექტი, რომლებსაც არასრულად ან საერთოდ არ ჰქონდათ წარდგენილი ავტობიოგრაფია, რეზიუმე (CV).¹⁷ არსებული წესის მიხედვით, ფონდს ორივე შემთხვევაში ჰქონდა უფლებამოსილება კონკურსიდან მოეხსნა პროექტები, თუმცა ერთ შემთხვევაში არ გამოიყენა, ხოლო მეორე შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი და არამართლზომიერი გადაწყვეტილებით, კონკურსიდან მოხსნა 45 პროექტი.

დასკვნა

2017-2018 წლებში საგრანტო კონკურსების ადმინისტრირება მოქმედი კანონმდებლობის მნიშვნელოვანი მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე მიმდინარეობდა, რის გამოც არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ მონაწილე კონკურსანტები.

რეკომენდაცია N1

ფონდის ხელმძღვანელობამ საგრანტო კონკურსის ეფექტიანი ადმინისტრირებისა და მონაწილეთა მიმართ თანასწორუფლებიანი მიდგომის მიზნით, კრიტერიუმების შემუშავებისას გაითვალისწინოს დაზუსტების და შეიმუშაოს ტექნიკური ექსპერტიზის განხორციელების ეფექტიანი მექანიზმები, მათ შორის, დეტალური ინსტრუქციები და სამუშაოს გადამოწმების დონეები.

2.1.3 შეფასება განსხვავებული საპროექტო დოკუმენტაციით

კრიტერიუმი: 2017 – 2019 წლებში დადგენილი წესების მიხედვით, მონაწილეს დოკუმენტაცია უნდა წარედგინა ცალ-ცალკე, ინგლისურ და ქართულ ენებზე, დამტკიცებული ფორმებისა და ფორმატების დაცვით. პროექტის ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობაზე, თარგმანის ხარისხსა და სიზუსტეზე პასუხისმგებელი იყო პროექტის ხელმძღვანელი და წამყვანი ორგანიზაცია.¹⁸

საკონკურსო დოკუმენტაცია კონკურსზე წარდგენილი უნდა იყოს გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით. ასევე ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.¹⁹

გამარჯვებულ კონკურსანტთან ფორმდება შესაბამისი საგრანტო ხელშეკრულება, რომლის დანართია სრული საპროექტო დოკუმენტაციის ქართულენოვანი ვერსია. შესაბამისად, გრანტის მიმღები მხარე იღებდა ვალდებულებებს პროექტის ქართულენოვან ვერსიაში დაფიქსირებულ მონაცემებზე, ხოლო შეფასებისათვის გამოიყენებოდა პროექტის ინგლისური ვერსია, რომელსაც აფასებდნენ უცხოელი ექსპერტები.

¹⁶ ოქმი N1, 06.11.2018 წ.

¹⁷ ოქმი N1, 02.08.2018 წ.; ოქმი N2, 03.09.2018 წ.

¹⁸ გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 ივნისის N74 ბრძანების მე-4 მუხლის მე-2, მე-8 პუნქტების მოთხოვნები. გენერალური დირექტორის 2018 წლის 20 ივნისის N80 ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

¹⁹ გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 ივნისის N74 ბრძანების მე-6 მუხლის მოთხოვნები.

გარემოება: 2017-2018 წლებში ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსის ტექნიკური ექსპერტიზის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფები განიხილავდნენ წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობას დადგენილ საკონკურსო პირობებთან. წესის მიხედვით, ისინი ერთმანეთს არ ადარებდნენ წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის ინგლისურ და ქართულ ვერსიებს. შესაბამისად, შესაძლებელი იყო სამეცნიერო კუთხით შეფასებისთვის უცხოელ ექსპერტებთან გაეგზავნათ პროექტის ერთი ვერსია, ხოლო ხელშეკრულება გაეფორმებინათ პროექტის განსხვავებულ, ქართულ ვერსიაზე. უცხოელი ექსპერტი საგრანტო პროექტს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ცხრილი N3. ინფორმაცია უცხოელი ექსპერტის შესაფასებელი კრიტერიუმების შესახებ

N დასახელება	
სამეცნიერო-კვლევითი პროექტი	
1	კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება.
2	კვლევის მიზნები და ამოცანები.
3	კვლევის მეთოდოლოგია.
4	კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა და გავრცელების (დისემინაციის) გეგმა.
პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი	
5	პროექტის ხელმძღვანელის მიღწევების, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა კვლევით პროექტთან.
6	ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და უნარების შესაბამისობა კვლევით თემასთან.
7	პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობა.
პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა	
8	პროექტის შესრულების გეგმის (ამოცანებისა და აქტივობების ეტაპების, ვადებისა და გზების) განხორციელებადობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებთან.
9	პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან.
10	წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის მატერიალური, ტექნიკური და ინტელექტუალური გარემოს/რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან.
11	პროექტის მდგრადობა, პროექტის განხორციელების რისკების ანალიზი და რისკების აღმოფხვრის გზები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის ინგლისურენოვან ვერსიაში ექსპერტმა შესაძლოა შეაფასოს კვლევის მიზნები, ამოცანები, მეთოდოლოგია და ინოვაციურობა, რომელზეც შემდგომ კონკურსანტი არ აიღებს ვალდებულებას, ვინაიდან ხელშეკრულება ფორმდება ქართულენოვან ვერსიაზე, რომელიც ექსპერტის მიერ არ განხილულა.

აუდიტის ჯგუფის მიერ პროექტების ქართული და ინგლისური ვერსიების ურთიერთშედარების შედეგად, 2017-2019 წლებში გამოვლინდა 12 შემთხვევა, როდესაც პროექტები განსხვავებულია ერთმანეთისაგან ან დამატებით მოიცავს სხვა სახის ნაკლოვანებებს, კერძოდ:

ცხრილი N4. ინფორმაცია პროექტების შესახებ, რომელთა შესაბამისი ქართული და უცხოენოვანი ქვეთავების შინაარსი (ვერსიები) განსხვავებულია

N	პროექტის შიფრი	განსხვავებული ქვეთავის დასახელება
1	FR-17-548	1.1 კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება. 1.2 კვლევის მიზნები და ამოცანები.
2	FR-18- 10849	2. პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი. 3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელება. 1.2 კვლევის მიზნები და ამოცანები.
3	FR-18-566	1.3 კვლევის მეთოდოლოგია. 1.4 კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური გამოყენებადობა და გავრცელების გეგმა.
4	FR-18- 22377	3.1 წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის, მატერიალური, ტექნიკური და ინტელექტუალური გარემოს/რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან.
5	FR-18- 18271	3.1 წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის, მატერიალური, ტექნიკური და ინტელექტუალური გარემოს/რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან.
6	FR-19- 10194	3. პროექტის განხორციელება. 3.1 წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის, მატერიალური, ტექნიკური და ინტელექტუალური გარემოს/რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან.
7	FR-19-4049	ნაცვლად ქართულენოვანისა, ატვირთული აქვს ინგლისურენოვანი CV.
8	FR-19- 21285	3. პროექტის განხორციელება.
9	FR-19- 10906	1. ინსტიტუციური მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. 2. პროექტის ინგლისურ ვერსიაზე დამატებულია დანართი.
10	FR-19-8306	პროექტის ინგლისურენოვან ვერსიაში ჩამატებული აქვს პროექტის მიზნები და ამოცანები, ხოლო ქართულენოვანში - არ უწერია.
11	FR-19-498	პროექტის თითქმის ყველა თავი განსხვავებულია ერთმანეთისაგან.
12	FR-19-8190	3. პროექტის განხორციელება ინსტიტუციური მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

მაგალითისათვის მოცემული ცხრილიდან განვიხილოთ რამდენიმე პროექტი, რომლებიც შემდეგი სახის ნაკლოვანებებს შეიცავენ:

1) პროექტი N9. FR-19-10906 პროექტის ფარგლებში, ინგლისურენოვან ვერსიას აქვს დანართი, სადაც ასახულია დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ. ასეთი სახით ინფორმაციის მიწოდება შემფასებლებისათვის უპირატეს მდგომარეობაში აყენებს კონკრეტულ აპლიკანტებს.

2) პროექტი N10. FR-19-8306 პროექტის ინგლისურენოვანი ვერსია მოიცავს თავს – მიზნები და ამოცანები, ხოლო ანალოგიური თავი ქართულენოვან ვერსიაში არ არის ასახული.

ქ) პროექტი N11. FR-19-498 პროექტის ინგლისურენოვანი ვერსია თითქმის ყველა თავში უფრო განვრცობილი და ყოვლისმომცველია. მოცემული გარემოების შესახებ აღნიშნავს თავად აპლიკანტი პროექტში, სადაც მიუთითებს, რომ პროექტის ინგლისურენოვანი ვერსია მნიშვნელოვნად განსხვავებულია ქართულენოვანი ვერსიისაგან.

გაურკვეველია პროექტებს შორის სხვაობას რა მასშტაბის სამეცნიერო ღირებულება გააჩნია, თუმცა ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ფონდს შემდგომ ეტაპებზე არ უნდა გადაეყვანა პროექტები და არ უნდა გამოეცხადებინა გამარჯვებულად, ვინაიდან პროექტები წარდგენილია დადგენილი წესის/ფორმების შეუსაბამოდ, რაც მნიშვნელოვან სხვაობებს იწვევდა ექსპერტის სამეცნიეროდ შესაფასებელ ვერსიასა და სახელშეკრულებო ვერსიებს შორის. ფონდი თავის მხრივ უფლებამოსილი იყო მოეთხოვა აღნიშნული პროექტების დაზუსტება, ხოლო დაუზუსტებლობის შემთხვევაში, პროექტები მოეხსნა კონკურსიდან. პროექტების რანჟირებისა და სამეცნიერო შეფასების ქულათა გათვალისწინებით, გამარჯვებული გახდებოდა სხვა სამეცნიერო პროექტი.²⁰

დასკვნა

ფონდის მიერ არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგრანტო პროექტების სათანადო შესწავლას დადგენილი მოთხოვნების მიხედვით. აღნიშნულის შედეგად, შესაძლებლობა მიეცათ გაემარჯვებინათ იმ აპლიკანტებს, რომლებმაც სახელშეკრულებო ვალდებულება აიღეს ერთი ვერსიით, ხოლო შეფასდნენ განსხვავებული ვერსიით, რის გამოც არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ მონაწილე სხვა კონკურსანტები.

რეკომენდაცია N2

ფონდის ხელმძღვანელობამ საგრანტო კონკურსის მონაწილეთა მიმართ თანასწორუფლებიანი მიდგომისა და სამეცნიერო პროექტების სრულფასოვანი შესწავლის მიზნით, შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ვალდებულებების აღებას სამეცნიერო შეფასების იდენტური ვერსიის საფუძველზე.

2.1.4 სამეცნიერო შეფასება დაუსაბუთებელი ჩარევით

კრიტერიუმი: დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით პროექტის სამეცნიერო შეფასება ტექნიკური ექსპერტიზის შემდგომი ეტაპია. აღნიშნული შეფასების ქულების მიხედვით, შესაბამისი დისციპლინების გადანაწილებით გამოვლინდება გამარჯვებული. პროექტის შეფასება უნდა განახორციელოს, სულ ცოტა, ორმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა.²¹

პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით, შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაზრის კვლევის შედეგები.²²

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დაზუსტებისას, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ხელშეკრულების მოქმედების სავარაუდო ვადა (მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების

²⁰ ასევე თარგმანის ხარისხსა და სიზუსტეზე პასუხისმგებელი იყო პროექტის ხელმძღვანელი, თუმცა აღნიშნული ფონდს არ გადაუმოწმებია.

²¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილების მე-7, მე-8 და მე-9 მუხლების მოთხოვნები.

²² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-4 მუხლის 6¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

შესაძლებლობა), ფასების არსებული დონე, მსგავსი შესყიდვების განხორციელების გამოცდილება.²³

გარემოება: ფუნდამენტური კვლევების საგრანტო პროექტების სამეცნიერო ექსპერტიზისათვის 2017 წელს ფონდმა ხელშეკრულება²⁴ გააფორმა აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდთან (CRDF Global), რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 258,544 აშშ დოლარი.²⁵ სულ ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილია 619,994 ლარი, რომელიც მოიცავდა 416 ფუნდამენტური საგრანტო კვლევის და ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის 82 პროექტის შეფასებას. ერთი პროექტის შეფასების ღირებულებამ, საშუალოდ, შეადგინა 1,244 ლარი. ფონდმა საექსპერტო მომსახურება ჩაიბარა 2017 წლის 29 ნოემბერს. უნდა აღინიშნოს, რომ ფონდის მიერ ვერ იქნა მოწოდებული ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია 2016, 2017 და 2018 წლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. აუდიტის ობიექტის განმარტებით, ფონდში ასეთი სახის დოკუმენტაცია არ ფიქსირდება, ხოლო იმ ყოფილ თანამშრომლებთან, რომლებიც შესაძლოა ფლობდნენ აღნიშნულ დოკუმენტაციას, კომუნიკაცია ვერ შედგა.²⁶

გაფორმებული ხელშეკრულებისა და დადგენილი წესის მიხედვით, აპლიკანტის მიერ წარდგენილი პროექტის შეფასება უნდა განხორციელდებოდა სულ მცირე 2 დამოუკიდებელ ექსპერტს, თუმცა საბოლოო შეფასების მიღებამდე, 14 ნოემბერს აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა რუსთაველის ფონდის ხელმძღვანელობას ოფიციალური მეილით აცნობა, რომ 80-90 პროექტის ფარგლებში, ექსპერტების შეფასებები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და საკითხი საჭიროებდა განხილვას. ფონდის მიერ შეთავაზებული წინადადებები შემდეგი სახის იყო:

ცხრილი N5. ინფორმაცია ფონდის მიერ შეთავაზებული წინადადებების შესახებ

ეტაპი	პროექტების პროცენტული სხვაობა, რომელთა გადახედვაც უნდა მომხდარიყო	მესამე ექსპერტის ჩართვა
I	30%	არა
II	40%	დიახ
III	30%	არა

ცხრილში წარმოდგენილი შეთავაზებული წინადადებების თანახმად, ფონდის თავდაპირველი პოზიციის მიხედვით,²⁷ 2 ექსპერტის შეფასებებს შორის არსებობდა რადიკალური განსხვავება, თუმცა ფონდს არ გააჩნდა დრო და შესაბამისი ფინანსური რესურსი, რომ დამატებით მე-3 ექსპერტი ჩაერთო შეფასებაში. ფონდის მოთხოვნა იყო მომხდარიყო ქულების ერთმანეთთან მიახლოება²⁸ იმ პროექტებში, სადაც ქულებს შორის სხვაობა შეადგენდა 30%-ს და მეტს. აღნიშნული პოზიცია ფონდმა შემდგომ შეიცვალა და დასაშვები გახდა მე-3 ექსპერტის ჩართულობა, თუმცა იმ პროექტებში, სადაც სხვაობა შეადგენდა 40%-ს. მოლაპარაკებების ბოლო ეტაპზე ფონდი კვლავ დაუბრუნდა თავდაპირველ პოზიციას.²⁹

²³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები.

²⁴ შესყიდვის რეგისტრაციის ნომერი CMR170139340.

²⁵ საექსპერტო შეფასების ონლაინსისტემის შემუშავება - 112,519.56 აშშ დოლარი, სამეცნიერო შეფასების ღირებულება - 146,025 აშშ დოლარი.

²⁶ სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის ელექტრონული ფოსტით შეტყობინება 15.09.2020 წ.

²⁷ 14.11.2017, 11:49:09 AM.

²⁸ Reconciliation.

²⁹ მაქსიმალური შეფასების, 50 ქულის - 30%. 14.11.2017. 5:42 AM.

ფონდის მოთხოვნის შესაბამისად, კონტრაქტორი ორგანიზაცია დათანხმდა, რომ პროცესში არ ჩაერთვებოდა მე-3 ექსპერტი (ვინაიდან ფონდს არ გააჩნდა დრო და საკმარისი ფინანსური რესურსი) და სანაცვლოდ შემფასებლებთან (ექსპერტებთან) განიხილებოდა ქულებს შორის სხვაობის შემცირების საკითხი. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან ირკვევა, რომ ფონდი არ იყო თანმიმდევრული პრობლემის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით და არ ჰქონდა პროცესი იმგვარად დაგეგმილი, რომ ასეთი საკითხის წამოჭრის შემთხვევაში, მომხდარიყო შესაბამისი რეაგირება, ფინანსების მობილიზების ან/და ვადების დაცვის კუთხით.

საბოლოოდ, კონტრაქტორმა ორგანიზაციამ უზრუნველყო 82 შეფასების ხელახალი განხილვა ექსპერტებს შორის და მათ მიერ თავდაპირველად დაფიქსირებული ქულები რიგ შემთხვევებში შეიცვალა. ფონდის ქმედებებმა მნიშვნელოვანად დააზიანა კონკურსის მიმდინარეობის პროცესი და შედეგები, რაც გამოიხატება შემდეგში:

1) ხელახალი შეფასების (განხილვის) მიზანი იყო ექსპერტების მიერ მინიჭებულ ქულათა შორის სხვაობის შემცირება (დაახლოება). 82 პროექტის განმეორებითი შეფასების მიხედვით, 22 შემთხვევაში, სხვაობა შემცირდა, 58 შემთხვევაში – უცვლელი დარჩა, ხოლო 2 შემთხვევაში, პირიქით, გაიზარდა.

2) ხელახალი გადახედვის კრიტერიუმები იყო 30%-ის და მეტი სხვაობის მქონე შეფასებები, თუმცა ფონდის მიერ შერჩეული 82 პროექტის შეფასებების ანალიზით, ხელმეორე გადახედვას დაექვემდებარა პროექტები, რომლებზეც 2 ექსპერტის მიერ დამოუკიდებლად მინიჭებულ ქულათა სხვაობა შეადგენდა 22%-დან 65%-მდე დიაპაზონში მყოფი პროექტების ნაწილი, თუმცა არა ყველა. შეფასებებში ასევე არ მოხვდა სხვა, 65%-იანი და მეტი ქულათა სხვაობის მქონე პროექტები. ფონდის მიერ გამოყენებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, საერთო ჯამში გადახედვას უნდა დაექვემდებარებოდა 192 პროექტი, ნაცვლად 82 პროექტისა. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები იმის შესახებ, რატომ მოხვდა დაუსაბუთებლად აღნიშნულ პროცესში მხოლოდ 82 პროექტი. ამრიგად, შეფასების პროცესში 110 პროექტი³⁰ სრულიად არათანაბარ პირობებში აღმოჩნდა სხვა პროექტებთან მიმართებით.

3) აღნიშნული ქმედების შედეგად, რამაც გამოიწვია დაუსაბუთებლად შერჩეული პროექტების ქულების ცვლილება, ვერ გაიმარჯვა ერთმა პროექტმა, რომელიც ქულების ცვლილებამდე იმარჯვებდა, ხოლო 2 პროექტი გამოცხადდა გამარჯვებულად, რომლებიც პირველად მიღებული შეფასების მიხედვით, ვერ იმარჯვებდა.

ცხრილი N6. ინფორმაცია ქულების ცვლილების შედეგად გამარჯვებული და მოხსნილი პროექტების შესახებ

N	პროექტის		წამყვანი ორგანიზაცია	შედეგი	
	შიფრი	ღირებულება		ცვლილებამდე	ცვლილების შემდეგ
1	FR-17-183	169,235	თსუ	იმარჯვებდა	ვერ გაიმარჯვა
2	FR-17-504	123,455	შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი	ვერ იმარჯვებდა	გაიმარჯვა
3	FR-17-85	118,010	თსუ	ვერ იმარჯვებდა	გაიმარჯვა

³⁰ დევიაციის მეთოდის მიხედვით, აღნიშნული პროექტების რაოდენობა შეადგენს 110-ს, ქულათა სხვაობის მეთოდის მიხედვით კი - 79-ს.

სულ: 410,700

დასკვნა

ფონდის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, პროექტების დაუსაბუთებელი შერჩევით არათანაბარ პირობებში აღმოჩნდა 110 სამეცნიერო განაცხადი: ერთ შემთხვევაში – ვერ გაიმარჯვა კონკურსანტმა, რომელსაც უნდა გაემარჯვა, ხოლო 2 შემთხვევაში – გაიმარჯვეს კონკურსანტებმა, რომლებიც ქულათა ცვლილებამდე ვერ იმარჯვებდნენ.


რეკომენდაცია N3

ფონდის ხელმძღვანელობამ საგრანტო პროექტების სამეცნიერო შეფასების ეფექტიანი ადმინისტრირების მიზნით, შეიმუშაოს შესაბამისი ინსტრუქციები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, დროის ფაქტორისა და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სადავო საკითხების გადაწყვეტას, რელევანტური კრიტერიუმების საფუძველზე.

2.2 გამოყენებითი კვლევების კონკურსი

გამოყენებითი საგრანტო კონკურსი ფონდის მიერ დაფინანსდა 2018 და 2019 წლებში. 2018 წელს კონკურსში მონაწილეობას იღებდა 151 სამეცნიერო ჯგუფი, საიდანაც დაფინანსდა – 14, ხოლო 2019 წელს – 118 სამეცნიერო ჯგუფიდან – 4. სულ დაფინანსებული 18 პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 11,178,968 ლარი.

დიაგრამა N5. ინფორმაცია 2018-2019 წლებში გამოყენებითი საგრანტო კონკურსის დაფინანსების შესახებ შესაბამისი დარგის მიხედვით



2.2.1 არაპატენტუნარიანი სამეცნიერო პროექტები

კრიტერიუმი:

კონკურსის პირველ ეტაპზე ფასდება კონკურსანტის კონცეფცია. კონცეფცია ფასდება ორი კრიტერიუმით: 1. მეცნიერება და ინოვაცია (მათ შორის, იდეის პატენტუნარიანობა) და 2. ტექნოლოგიის ტრანსფერი და კომერციალიზაციის პოტენციალი.³¹ 2018 წელს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით, კონცეფციასთან დაკავშირებით საჭირო იყო გამოგონების განაცხადის გახსნა³² საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტი) ელექტრონულ სისტემაში. აღნიშნულის საფუძველზე საქპატენტის შესაბამისი დარგის ექსპერტები ამზადებდნენ დასკვნას, სადაც განისაზღვრებოდა იდეის (კონცეფციის) პატენტუნარიანობა, რომელსაც შემდგომ განიხილავდა ფონდში მოქმედი კომისია, მაგრამ 2019 წელს დირექტორმა აღნიშნული ვალდებულება შესაბამის ბრძანებაში აღარ გაითვალისწინა.

³¹ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

³² გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის N99 ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

კონკურსის მე-2 ეტაპზე გადასული პროექტის კონცეფციაზე შექმნილ პროექტებს აფასებს, სულ ცოტა, 2 დამოუკიდებელი ექსპერტი. კონკურსის მე-3 ეტაპზე გადასულ პროექტებს, შესაბამისი სამეცნიერო ხელმძღვანელის ან/და ძირითადი პერსონალის მიერ გაკეთებული პრეზენტაციების წარდგენის საფუძველზე, აფასებს იგივე კომისია, ხოლო კონკურსის მე-2 და მე-3 ეტაპებზე მიღებული ქულების საფუძველზე საბოლოო ქულის დაანგარიშების წესს განსაზღვრავს გენერალური დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.³³

გამოგონება პატენტუნარიანია, თუ ის აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს – სიახლეს, საგამომგონებლო დონესა და სამრეწველო გამოყენებადობას.³⁴

გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით შექმნას ინტელექტუალური საკუთრება: პატენტით, საავტორო უფლებით და სასაქონლო ნიშნით.³⁵

ყველა პროექტი უნდა შეფასდეს იდეის პოტენციური პატენტუნარიანობის მიხედვით და მხოლოდ დადებითი პერსპექტივის მქონე პროექტები გადავა შეფასების მეორე ეტაპზე.³⁶

კონკურსში მონაწილეობისათვის სავალდებულოა პროექტის განხორციელების შედეგად პროტოტიპის, ნიმუშის, პროგრამული უზრუნველყოფის (Software) ან ტექნოლოგიის შექმნა. აგრეთვე მნიშვნელოვანია კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტების გამოვლენა.³⁷

გარემოება: გამოყენებითი კვლევა ეს არის კომერციალიზაციის პერსპექტივის მქონე ინოვაციური და ტექნოლოგიური ტრანსფერის განვითარებაზე ორიენტირებულ სამეცნიერო კვლევა, რომელსაც ახორციელებს სამეცნიერო ან არასამეცნიერო სექტორი, მცირე და საშუალო ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაცია და საჯარო დაწესებულება. შედეგად, იქმნება პროტოტიპი, ნიმუში, პროგრამული უზრუნველყოფა (software) ან ტექნოლოგია. აღნიშნულ კონკურსს ფონდი აუდიტის პერიოდში 2018-2019 წლებში ატარებდა.

კონკურსების შედეგების მიხედვით, გამარჯვებულად გამოვლინდა ისეთი სახის სამეცნიერო პროექტები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ დადგენილი ნორმების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას, იდეის პატენტუნარიანობას.

ცხრილი N7. ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რომლებიც საპატენტის დასკვნის მიხედვით არ არის პატენტუნარიანი

N	ხელშეკრულების		წამყვანი ორგანიზაცია
	ნომერი	ღირებულება	
1	AR-18-601	420,000	თსუ
2	AR-18-613	418,800	ტექნიკური უნივერსიტეტი
3	AR-18-306	420,000	ვირუსოლოგიის ინსტიტუტი
4	AR-19-1154	389,800	ტექნიკური უნივერსიტეტი

³³ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილების მე-9 მუხლის მოთხოვნები.

³⁴ „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

³⁵ გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის N99 ბრძანების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

³⁶ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

³⁷ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

5	AR-19-1211	419,730	ტექნიკური უნივერსიტეტი
ჯამი:		2,068,330	

)/ პროექტი N1-3 – 2018 წელს კონკურსში მონაწილე 151 კონკურსანტიდან განაცხადი გახსნა 139-მა, ხოლო 12 კონკურსანტს არ გაუხსნია გამოგონების განაცხადი, რის შესახებაც საქპატენტმა ფონდის წარმომადგენლებს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობა. კომისიამ აღნიშნულის მიუხედავად, სრულად განიხილა 151-ივე კონცეფცია და დააფიქსირა შესაბამისი შეფასებები.

ამასთანავე, კომისიამ განიხილა საქპატენტის მიერ წარდგენილი დასკვნები³⁸ იდეის პატენტუნარიანობასთან დაკავშირებით და გარკვეულ შემთხვევებში, გადაწყვეტილებებს იღებდა საქპატენტის დასკვნის საწინააღმდეგოდ. კერძოდ, საქპატენტის დასკვნით, პატენტუნარიანი კონცეფცია კომისიამ მიიჩნია არაპატენტუნარიანად და პირიქით, საქპატენტის მოსაზრებით, არაპატენტუნარიანი კონცეფცია შეფასდა როგორც პატენტუნარიანი.

კომისიის წევრების მიერ შესაბამის ოქმში არ არის დეტალურად დასაბუთებული ის გარემოებები, რის გამოც არ ეთანხმებიან წარდგენილ დასკვნებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პატენტის მარეგისტრირებელ ერთადერთ ორგანოს – საქპატენტს, 2018 წელს გამარჯვებული 14 პროექტიდან, 5-ზე წარდგენილი ჰქონდა უარყოფითი დასკვნა პატენტუნარიანობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტებმა შეძლეს აღნიშნული ეტაპის გადალახვა. ფაქტობრივად, მოცემულ პროცესში საქპატენტის როლი კომისიისათვის ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

)/ პროექტი N4-5 – 2019 წელს ფონდის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, მოთხოვნა საქპატენტში განაცხადის გახსნასთან დაკავშირებით გაუქმდა. აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად, პროცესს ჩამოშორდა საქპატენტი და კომისიას მიეცა უფრო ფართო უფლებამოსილება, საქპატენტის შესაბამისი დარგის ექსპერტების გარეშე მიეღო გადაწყვეტილებები პროექტების შეფასებასთან დაკავშირებით. მიუხედავად აღნიშნულისა, საქპატენტმა 2019 წელს დაფინანსებულ პროექტებზე მოამზადა შესაბამისი დასკვნები.³⁹ წარმოდგენილი დასკვნების მიხედვით, დაფინანსებული 4 პროექტიდან 2 არ არის პატენტუნარიანი. ექსპერტები თავიანთ დასკვნებში აღნიშნავენ შემდეგს:

ა) სამეცნიერო ჯგუფის პროექტში მითითებული მოწყობილობა, 2011 წელს გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციაშია ახსნილი და შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის სიახლის კრიტერიუმს;

ბ) ობიექტი პროექტში წარმოდგენილი სახით არ აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის კრიტერიუმების – სიახლისა და მით უმეტეს, საგამომგონებლო დონის მოთხოვნებს. სამეცნიერო ჯგუფს უკვე შექმნილი აქვს უახლოესი ანალოგი და აღნიშნული კვლევით ახდენს მის მოდიფიცირებას.

³⁸ ოქმი N1, 26.08.2018.

³⁹ აუდიტის ჯგუფმა საქპატენტს მიმართა თხოვნით, 2019 წელს დაფინანსებულ კონცეფციებზე მოემზადებინა შესაბამისი დასკვნები პატენტუნარიანობასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, კვლავ გამოვლინდა მარეგისტრირებელი ორგანოსა და კომისიის გადაწყვეტილებების ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები. თავის მხრივ, დაუსაბუთებელია, რატომ შეუწყო ფონდმა ხელი საქპატენტის როლის შემცირებას შეფასების პროცესში და რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო კომისიამ გადაწყვეტილებები. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს კომისიის ერთ-ერთ წევრად განსაზღვრული იყო საქპატენტის წარმომადგენელი, თუმცა უფლებამოსილი პირის განმარტებით, მისი მონაწილეობა საფუძველს მოკლებული იყო შესაბამისი დასკვნების მომზადების ვალდებულების გარეშე, ამიტომ საქპატენტის წარმომადგენელი არც ერთ სხდომას არ დასწრებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურსების ობიექტური და დასაბუთებული ადმინისტრირების შემთხვევაში, ფონდს უნდა გამოეყენებინა დაზუსტების მექანიზმი შესაბამის საკითხებზე. თუ აპლიკანტი ვერ შეძლებდა დაზუსტებას, მაშინ პროექტები ავტომატურად მოიხსნებოდა კონკურსიდან.

) დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს გამარჯვებულ ერთ-ერთ პროექტთან დაკავშირებით,⁴⁰ არსებობს კონცეფციის ორი ვერსია: ერთი, რომელიც კონკურსანტმა წარადგინა კონკურსზე და მეორე, რომელიც წარადგინა საქპატენტში. როგორც აღინიშნა, 2019 წელს კონკურსანტებს საქპატენტში კონცეფციის წარდგენის ვალდებულება არ ჰქონდათ, თუმცა თავისი ინიციატივით გახსნეს გამოგონების განაცხადი. საქპატენტში წარდგენილმა კონცეფციამ, საქპატენტის მიერ მიიღო შეფასება, რომ იდეა იყო პატენტუნარიანი. აუდიტის ჯგუფმა საქპატენტს მიმართა თხოვნით, ამჯერად დასკვნა მოემზადებინა კონკურსზე წარდგენილ კონცეფციაზე. მომზადებული დასკვნის მიხედვით, კონკურსზე ატვირთული კონცეფცია, რომელიც აუდიტის ჯგუფის მიერ იქნა გადაგზავნილი, არ არის პატენტუნარიანი, ვინაიდან გამოგონების კონცეფციაში მოწყობილობა იმდენად ზოგადი ფორმით იყო გადმოცემული, რომ არ იძლეოდა აღნიშნულ მოწყობილობაზე სრულყოფილი კვლევის და შედარებითი ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რა სახის კრიტერიუმებს ეყრდნობა ფონდი პატენტუნარიანობის შეფასებისას. მაგალითად, თუ კონკურსანტმა გამოგონება წარადგინა უბრალოდ საყოფაცხოვრებო ნივთზე, რა თქმა უნდა, საქპატენტი განაცხადებს, რომ ასეთი ნივთი უკვე გამოგონებულია და ის სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ თუ მეცნიერთა ჯგუფი დეტალურად აღწერს აღნიშნულ ნივთს როგორი მახასიათებლები ექნება (მაგალითად, ცხელდება, ცივდება, ტრანსფორმირებადია და სხვ.), ეს შესაძლოა გახდეს გამოგონების საფუძველი.

დასკვნა

ფონდის ხელმძღვანელობის და კომისიის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების შედეგად, ფონდის მიერ პატენტუნარიანობასთან დაკავშირებული დადგენილი ნორმების მოთხოვნათა უგულვებელყოფით დაფინანსდა 2,068,330 ლარის ღირებულების საგრანტო პროექტი. აღნიშნული შესაძლოა დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდეს პროექტების კომერციალიზაციისა და შესრულებისათვის, რაც გამოიწვევს ფინანსური სახსრების არაეფექტიან განკარგვას.

რეკომენდაცია N4

ფონდის ხელმძღვანელობამ სამეცნიერო კვლევის კონცეფციის პატენტუნარიანობის სრულყოფილად შეფასების მიზნით, უზრუნველყოს

⁴⁰ AR-19-1936.

საქპატენტის როლის ინტეგრირება შეფასების პროცესში, რითაც გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი დარგის ექსპერტების მოსაზრება იდეის პატენტუნარიანობასთან დაკავშირებით.

2.2.2 ადმინისტრირების ნაკლოვანება

კრიტიკუმი:

1) პროექტის ძირითადი პერსონალის (ხელმძღვანელის, კოორდინატორის, ქართველი და უცხოელი მკვლევრების) პროფესიული ბიოგრაფიები (CV) ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციის დროს. სავალდებულოა, საქართველოს მოქალაქის ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილი“ შევსებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.⁴¹

2) საგრანტო კონკურსში პროექტის თანდართული დოკუმენტების ნაწილს წარმოადგენს თანხმობის წერილი – სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ, რომლის ფორმაც დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ. აღნიშნული გულისხმობს, რომ კონკურსანტი თუ იყენებს კონსორციუმის⁴² წევრი ორგანიზაციების გარდა სხვა სუბიექტების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მაშინ მან აღნიშნულის შესახებ უნდა წარადგინოს შესაბამისი თანხმობის დოკუმენტი.⁴³

3) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულ მინიმუმ ერთ წევრს მაინც უნდა ჰქონდეს ბიზნესსაქმიანობის გამოცდილება და მჭიდრო კავშირები ბიზნესსექტორთან, რაც დადასტურდება მის პროფესიულ ბიოგრაფიაში ასახული მონაცემებით.⁴⁴

გარემოება: გამოყენებითი საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება 2018-2019 წლებში ნაკლოვანებებით წარიმართა, არ იყო დაცული კონკურსის რიგი ნორმები და წესები, რაც გამარჯვებულის მართლზომიერად და ობიექტურად გამოვლენის საფუძველს წარმოადგენდა.

ცხრილი N8. ინფორმაცია პროექტების შესახებ, რომლებშიც ფიქსირდება ხარვეზები

N	ხელშეკრულების ნომერი	ხელშეკრულების ღირებულება	წამყვანი ორგანიზაცია	პროექტის ხარვეზი/შენიშვნა
1	AR-18-1491	279,600	ტექნიკური უნივერსიტეტი	1. ინგლისურენოვანის ნაცვლად ატვირთულია ქართულენოვანი CV. 2. არ არის წარდგენილი თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკ. ბაზის გამოყენების შესახებ.
2	AR-18-343	1,680,000	სამხარაულის ეროვნული ბიურო	არ არის წარდგენილი თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკ. ბაზის გამოყენების შესახებ.
3	AR-19-1211	419,730	ტექნიკური უნივერსიტეტი	პროექტში ჩართულ არც ერთ წევრს არ უდასტურდება ბიზნესსაქმიანობის გამოცდილება და მჭიდრო კავშირები ბიზნესსექტორთან.
ჯამი:		2,379,330		

ზემოაღნიშნულ ცხრილში მითითებული კონკურსანტები 2018-2019 წლების საგრანტო კონკურსების შედეგების მიხედვით, ფონდის მიერ გამოცხადდნენ გამარჯვებულებად, თუმცა შესაბამისი პერიოდისათვის მოქმედი წესებისა და

⁴¹ გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის N99 ბრძანების მე-4 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა.გ.“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

⁴² კონსორციუმი - მინიმუმ, 2 და მაქსიმუმ, 5 ორგანიზაციისაგან შემდგარი სუბიექტი.

⁴³ გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის N99 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

⁴⁴ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილების მე-5 მუხლის მე-14 პუნქტის მოთხოვნები.

რეგულაციების გათვალისწინებით, ისინი არ ექვემდებარებოდნენ გამარჯვებას, კერძოდ:

1) *პროექტი N1* – აპლიკანტმა ინგლისურენოვანის ნაცვლად კონკურსზე წარადგინა ქართულენოვანი CV. სამუშაო ჯგუფმა აღნიშნულის გამო ხარვეზი არ დაუდგინა, პროექტი გადაიყვანა შემდგომ ეტაპზე და საბოლოოდ გამოცხადდა გამარჯვებულად. თუმცა ყველა სხვა მსგავს შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფი იყენებდა დაზუსტების მექანიზმს და შემდგომ ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება.⁴⁵

2) *პროექტი N2* – დადგენილი წესების მიხედვით, ორგანიზაცია, რომელიც არ არის კონსორციუმის წევრი, მაგრამ მეცნიერთა ჯგუფი გამოიყენებს მათ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საჭიროებს ორგანიზაციის წერილობით თანხმობას. გამარჯვებული პროექტებიდან 2 შემთხვევაში, აპლიკანტებს ასეთი სახის თანხმობა არ აქვთ წარდგენილი. შესაბამისად, ფონდის მიერ პროექტების შემდგომ ეტაპზე გადაყვანის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

3) *პროექტი N3* – ძირითადი პერსონალის არც ერთ წევრს არ გააჩნდა ბიზნესსაქმიანობის გამოცდილება. ნაცვლად ასეთი სახის გამოცდილებისა, პროექტში მონაწილეობდა პირი, რომელიც შპს „ჯორჯიან პოლიმერში“ მუშაობდა საჭრელ-დანადგარის გამწვობად და ასევე დასაქმებული იყო ინჟინერ-ელექტრიკოსის პოზიციაზე, რაც ცალსახად ვერ აკმაყოფილებდა კონკურსით დადგენილ მოთხოვნებს.

დასკვნა

ფონდის მიერ კონკურსის ადმინისტრირების რიგი ნაკლოვანებების შედეგად, დაფინანსდა 1,959,600 ლარის ღირებულების ისეთი პროექტები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ გამარჯვებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს. აღნიშნული განპირობებული იყო კონკურსანტების მიმართ არათანასწორუფლებიანი მიდგომისა და არასრულყოფილი ტექნიკური ექსპერტიზის შემთხვევებით, რაც იწვევს ფინანსური სახსრების არაეფექტიან ხარჯვას.

რეკომენდაცია N5

ფონდის ხელმძღვანელობამ სამეცნიერო პროექტების დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის სრულყოფილად შემოწმების მიზნით, შეიმუშაოს დეტალური ინსტრუქციები ტექნიკური ექსპერტიზის სამუშაოს ეტაპებთან დაკავშირებით, რათა გამოირიცხოს მიკერძოებული გადაწყვეტილებებისა და დისკრიმინაციული შემთხვევების არსებობა.

2.3 საგრანტო პროექტების შესრულება

2.3.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების ნაკლოვანება

კრიტერიუმი: ფონდი და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრი ერთობლივად ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ქართველ სტუდენტებს სტაჟირების ფარგლებში, ცენტრის ბაზაზე განახორციელონ ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევითი პროექტები. კონკურსის ადმინისტრირებას არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, რომლის მიხედვით, ანაზღაურების (სტიპენდიის) 70%-ს ფარავს ცენტრი, ხოლო 30%-ს ფონდი.⁴⁶ აღნიშნულთან დაკავშირებით, მხარეებს შორის 2012 წელს

⁴⁵ ოქმი N1, 6.11.2018; ოქმი N1, 02.08.2018. გამოიყენა დაზუსტების მექანიზმის ან გასცა რეკომენდაცია პირდაპირ კონკურსიდან მოხსნის შესახებ.

⁴⁶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N226.5 ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები.

გაფორმებული იყო შეთანხმება,⁴⁷ რომლითაც გათვალისწინებული იყო იმავე თანადაფინანსების პროცენტული მოცულობები. 2015 წელს მხარეებს შორის ხელახლა გაფორმებული შეთანხმების⁴⁸ მიხედვით, გაიზარდა ფონდის თანადაფინანსების პროცენტული წილი და ფონდმა აიღო ვალდებულება – დაეფარა დაფინანსების 50%. განახლებული პროცენტული განაწილება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ აისახა 2017 წლის საგრანტო კონკურსის პირობებში, რაც თავის მხრივ, ეწინააღმდეგებოდა განათლების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ხარვეზი გათვალისწინებულია 2018 წლის მინისტრის შესაბამის ბრძანებაში.

2011 წლიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ფონდის მიერ გრანტების გაცემის წესი, საგრანტო კონკურსების დებულებები და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმები უნდა დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.⁴⁹

გარემოება: ფონდმა 2017 წელს, კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის პირობები გამოაცხადა ფონდის გენერალური დირექტორისა და იულისის კვლევით ცენტრთან გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, სადაც დაფინანსების პროცენტული განაწილება შეადგენდა 50-50%-ს. კონკურსის ფარგლებში გაფორმდა 3 ხელშეკრულება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 190,238 ლარს,⁵⁰ მათ შორის, 2 ხელშეკრულება დასრულებულია, ხოლო ერთი – მიმდინარე.

ვინაიდან კონკურსი გამოცხადდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების და ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანების მიხედვით, რომელიც ეწინააღმდეგება მინისტრის ბრძანებით დადგენილ ნორმებს, რომლითაც 50%-ის ნაცვლად, თანადაფინანსების თანხა შეადგენს 30%-ს, ფონდის მიერ დადგენილი ნორმების შეუსაბამოდ არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში, 2020 წლის მდგომარეობით,⁵¹ ზედმეტად ანაზღაურებულია 9,298 ლარი, ხოლო მიმდინარე ხელშეკრულების სრულად დაფინანსების შემდგომ თანხა გაიზარდება 35,334 ლარამდე.

დასკვნა

ფონდის ხელმძღვანელობის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების შედეგად, ფონდს დაეკისრა ვალდებულება – ზედმეტად აუნაზღაუროს გრანტის მიმღებ სუბიექტებს 35,334 ლარი.

რეკომენდაცია N6

ფონდის ხელმძღვანელობამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ვალდებულებების მართლზომიერად შემუშავების მიზნით, შექმნას კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ვალდებულებების მართვას მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

2.3.2 დაუსაბუთებელი სამივლინებო ანაზღაურება

კრიტერიუმი: სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვრება 15 ლარის ოდენობით, რომელიც გაიანგარიშება მივლინებაში

⁴⁷ 2012 წლის 12 იანვრის შეთანხმება შოთა რუსთაველის ეროვნულ-სამეცნიერო ფონდსა და იულისის სამეცნიერო ცენტრს შორის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის საქართველო-იულისის ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ.

⁴⁸ 2015 წლის 16 ივნისის შეთანხმება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და იულისის სამეცნიერო ცენტრს შორის, დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისათვის, იულის-საქართველოს ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ.

⁴⁹ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის N131 დადგენილება.

⁵⁰ სახელშეკრულებო ღირებულება დათვლილია საერთო ღირებულებიდან 61,200 €, რომელიც ეროვნულ ვალუტაში გამოსახულია შესაბამისი პერიოდის საშუალო კურსით.

⁵¹ 01.08.2020 პერიოდის მიხედვით.

ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და სადღესასწაულო, აგრეთვე მივლინებაში გამგზავრებისა და მივლინებიდან დაბრუნების დღეების ჩათვლით, ხოლო 30 კმ-მდე მანძილზე მივლინებისას, როდესაც შესაძლებელია სამუშაო (საცხოვრებელ) ადგილზე იმავე დღეს დაბრუნება, ანაზღაურდება მხოლოდ მგზავრობის ხარჯები.⁵²

გარემოება: ფუნდამენტური კვლევების 2018 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში გამარჯვებულად გამოვლინდა სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერთა ჯგუფი, კვლევით – „დედამიწასთან მოახლოებადი ასტეროიდების ფიზიკური და დინამიკური მახასიათებლის შესწავლა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში“, რომლის ღირებულებამ შეადგინა 228,000 ლარი. პროექტის ფარგლებში მეცნიერთა ჯგუფი წამყვანი ორგანიზაციის მიერ დაფინანსდა სასტუმროსა და დღიური ნორმის ხარჯებით, რომლის საკასო ხარჯი 2020 წლის მდგომარეობით შეადგენს 20,055 ლარს. გაცემული სამივლინებო ანაზღაურება დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება მოქმედ მარეგულირებელ ნორმებს, კერძოდ:

1) მეცნიერთა ჯგუფი შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, დასაქმებულია თავად ობსერვატორიაში, ანუ იმ სამუშაო ადგილას, სადაც გრანტით გათვალისწინებულია მივლინება და კვლევების ჩატარება.⁵³ შესაბამისად, მოქმედი მარეგულირებელი ნორმების მიხედვით 30 კმ-მდე მანძილზე მივლინებისას, როდესაც შესაძლებელია სამუშაო (საცხოვრებელ) ადგილზე იმავე დღეს დაბრუნება, ანაზღაურდება მხოლოდ მგზავრობის ხარჯები.

2) ობსერვატორიას აღნიშნულ პირებზე⁵⁴ სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს საცხოვრებელი ბინები ობსერვატორიის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ კორპუსებში.

3) აღნიშნული პირების შრომით ხელშეკრულებებში დაფიქსირებულია, რომ მათი სამუშაო ადგილებია თბილისი და აბასთუმანი, თუმცა ობსერვატორიის უფლებამოსილი პირის განმარტებით, თანამშრომელთა გამოცხადების რაიმე სახის აღრიცხვის შიდა კონტროლის სისტემა არ აქვთ შემუშავებული, მათ შორის, სამუშაო ადგილების მიხედვით. შესაბამისად, გაუგებარია როგორ განისაზღვრება მივლინების პერიოდში თანამშრომლის სამუშაო ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანი ორგანიზაცია 2017 წელს ზოგადად გრანტის ფარგლებში, ორგანიზაციულ საკითხებზე თბილისში მუშაობის საჭიროების შემთხვევაში, გასცემდა სამივლინებო ანაზღაურებას თბილისში მივლინებასთან დაკავშირებით, ანუ სამივლინებო ანაზღაურება გაიცემოდა მათი თბილისში მუშაობისთვის და არა პირიქით, აბასთუმანში.

დასკვნა

ფონდის მიერ კონკურსის ადმინისტრირების ეტაპზე არ არის შემუშავებული შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სამივლინებო ხარჯების შესაბამისობას მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან, ამასთანავე, პროექტის შესრულების მონიტორინგის ეტაპზე აღნიშნული ხარვეზი

⁵² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

⁵³ სამივლინებო ბრძანებით, მივლინება გაფორმებულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ასევე 30 კმ-ის შიგნით მდებარეობს სამუშაო ადგილთან მიმართებით.

⁵⁴ გ.კ. - ერთი საცხოვრებელი ფართი, რ.ი. - 3 საცხოვრებელი ფართი, ვ.ა. - 2 საცხოვრებელი ფართი.

დამატებით არ იქნა შესწავლილი. შედეგად, წამყვან ორგანიზაციას დაუსაბუთებლად ანაზღაურებული აქვს 20,055 ლარის სამიველინებო ხარჯი.

რეკომენდაცია N7

ფონდის ხელმძღვანელობამ საბიუჯეტო სახსრების მართლზომიერად განკარგვისა და დანახარჯების სრულყოფილად დასაბუთების მიზნით, შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების სრულფასოვან შემოწმებას და შემდგომში – შესრულებული სამუშაოს ეფექტიან მონიტორინგს.


2.3.3 დაუსრულებელი კვლევები

კრიტერიუმი: ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში გამარჯვებულ სუბიექტებთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოების შესრულების ვადებსა და დაფინანსების ეტაპებს. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებებს, ფონდი სწავლობს შეუსრულებლობის მიზეზებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ფონდი უფლებამოსილია განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობისას შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ფორსმაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა და აუთვისებელი ნაშთი.

გარემოება: ფონდი 2010 წლიდან ახორციელებს სხვადასხვა საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებას და სამეცნიერო კვლევების დაფინანსებას. კვლევების ვადა საშუალოდ 2-4 წელს შეადგენს, რომელსაც ეტაპების მიხედვით ასრულებს სამეცნიერო ჯგუფი. ფონდის მიერ წლების მიხედვით დაფინანსებულია საგრანტო პროექტები, რომლებიც დადგენილ დროში ვერ დასრულდა და დღემდე დაუსრულებელია. ასეთი სახის პროექტების ღირებულებამ სულ 8,313,517 ლარი შეადგინა.

დიაგრამა N6. ინფორმაცია პროექტების შესახებ, რომლებიც 2010-2019 წლებში უნდა დასრულებულიყო და არ დასრულდა



მნიშვნელოვანია, რომ 2010 წლიდან 2019 წლის ჩათვლით პერიოდში დაუსრულებელი პროექტების დინამიკა იზრდება. რაც შეეხება პროექტებს, რომლებიც უნდა დასრულებულიყო 2020 წელს, ფიქსირდება ერთი შემთხვევა,

ვინაიდან, აუდიტის მიმდინარეობისას ინფორმაციის წარდგენის პერიოდი რიგ შემთხვევებში არ იყო დამდგარი.⁵⁵

უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებების რაოდენობა, რომლებზეც ნაკისრი ვალდებულებები ვერ შესრულდა, შეადგენს 75-ს, მათ შორის, ფონდში ფიქსირდება ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც 5 ან 10 წლის წინ უნდა დასრულებულიყო.

ფონდის მიერ არ არის შემუშავებული შესაბამისი კრიტერიუმები, რა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების შესრულების ვადებზე ხარვეზის დადგენა და გადავადების მექანიზმის გამოყენება. ფონდს არც ერთ შემთხვევაში გრანტის მიმღებთან არ შეუწყვეტია ხელშეკრულება და ყველა ხელშეკრულების ვალდებულება გადავადებულია. აღნიშნული ასევე აბრკოლებს ხელშეკრულების შესრულების ეფექტიან კონტროლს და შედეგების შეფასებას.

დასკვნა

ფონდის საქმიანობაში, შესაბამისი კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მართვის პროცესისთვის დამახასიათებელია რიგი ნაკლოვანებები. შედეგად, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების ხარჯვის მიუხედავად, არ არის მიღებული მოსალოდნელი შედეგები, რაც ფინანსური რესურსების არაეფექტიან ხარჯვაზე მიუთითებს.

2.3.4 ხელშეკრულების დაუსაბუთებელი ცვლილებები

კრიტერიუმი: მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ცვლილებები ან დამატებები ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, წერილობითი ფორმით. ფონდი უფლებამოსილია, რომ გრანტის მიმღების მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არა უგვიანეს 20 დღით ადრე (გარდა ბოლო პერიოდისა), საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საგრანტო წლის პერიოდში ხელშეკრულების ბიუჯეტში ცვლილებები დასაშვებია პროექტის მიმდინარე წლის საერთო ბიუჯეტის 20%-ის ფარგლებში.

გარემოება: ფონდსა და წამყვან ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში 2018 წელს განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, ცვლილებების საფუძველია წერილი, სადაც აღწერილია გარემოებები, რის გამოც მეცნიერთა ჯგუფმა ვერ შეძლო კონკრეტული ამოცანის შესრულება შესაბამისი პერიოდისათვის. აღნიშნული გარემოებების სისწორეს და ობიექტურობას განიხილავს შესაბამისი სამსახური, რომლის საფუძველზე მზადდება ცვლილების პროექტი ან უარის წერილი.

აღნიშნული ცვლილებების ანალიზით, ფონდის უარი ან თანხმობა კონკრეტულ შემთხვევებში არ არის სათანადოდ დასაბუთებული, რაც არაერთგვაროვანი მიდგომის რისკებს წარმოშობს, მაგალითად:

⁵⁵ 2020 წლის რაოდენობა ასევე შემცირებულია იმ პროექტებით, რომელთა დასრულების ვადები აჭარბებდა 2020 წლის მარტს - ქვეყანაში არსებული პანდემიით გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოებების გათვალისწინების გამო.

ცხრილი N9. ინფორმაცია 2018 წელს რიგ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

N	პროექტი	მოთხოვნის საფუძველი	გადაწყვეტილება	უფლებამოსილი პირის დამატ. განმარტება
1	FR-17-31	მონოგრაფიის გამოქვეყნება ნაცვლად მე-5 საანგარიშო პერიოდისა, მე-6 პერიოდში.	უარი - არ არის საკმარისად დასაბუთებული.	მონოგრაფიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გარე ფაქტორების გავლენა არის მინიმალური, შეუსრულებლობის შემთხვევაში მიეცემოდა დამატებითი ვადა.
2	FR-17-529	სტატიის გამოქვეყნება ნაცვლად მე-2 საანგარიშო პერიოდისა, მე-3 პერიოდში.	1. თანხმობა.	სამეცნიერო ჯგუფთან განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია, კონკრეტული ტექნიკური და იურიდიული პრობლემების დაზუსტების მიზნით, რაც დასახელებული იყო მოთხოვნის წერილში.
3	FR-17-554	მონოგრაფიის და სტატიის გამოქვეყნება ნაცვლად მე-4 საანგარიშო პერიოდისა, მე-6 პერიოდში.	უარი - არ არის საკმარისად დასაბუთებული.	დეტალების დაზუსტების მიზნით, შედგა შეხვედრა გრანტის მიმღებ ხელმძღვანელთან და ძირითად პერსონალთან, თუმცა ფონდს გაუჩნდა გონივრული ეჭვი, რომ ცვლილების განხორციელების მიუხედავად, ვერ შესრულდებოდა ნაკისრი ვალდებულებები.

ფონდის საპასუხო წერილებში არ არის ასახული ის ფაქტორები, გარემოებები, რის გამოც უარი ეთქვათ განმცხადებლებს ცვლილებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, პასუხისმგებელ პირებს ეთხოვათ დამატებით განემარტათ, რის საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილებები. შედეგად, გამოვლინდა შემდეგი:

1) რიგ შემთხვევებში, ფონდის უფლებამოსილი პირები საკითხებს აზუსტებენ დამატებით, სატელეფონო კომუნიკაციით ან მეცნიერთა ჯგუფთან შეხვედრით, რის მიხედვითაც იღებენ დამატებით რწმუნებას გადაწყვეტილების პროცესში, თუმცა გაურკვეველია, განიხილავენ თუ არა ისინი დამატებით არგუმენტებს ან დამატებით დოკუმენტაციას, ვინაიდან ასეთი სახის მტკიცებულებები ფონდში არ ფიქსირდება.

2) დაუსაბუთებელია მონოგრაფიის ცვლილების საკითხი, რა სახის გარე ფაქტორებზე აქვს ფონდს აქცენტი. განმცხადებელი სრულყოფილად განმარტავს იმ დამაბრკოლებელ გარემოებებს, რომლებიც მოითხოვს

დასკვნა

დამატებით დროს, სხვა შემთხვევაში, მონოგრაფია შესაძლოა უზარისხო ან არასრულყოფილი გამოვიდეს.

რეკომენდაცია N8

ფონდის გადაწყვეტილებები ხელშეკრულების პირობების ცვლილებასთან ან ხარვეზის გამოსწორების ვადებთან დაკავშირებით, არ არის სათანადოდ დასაბუთებული, რის შედეგად არათანაბარ პირობებში ხორციელდება ხელშეკრულ მხარეებთან საკითხების დაზუსტება და შესაბამისი ცვლილებების ინიცირება.

ფონდს – ფონდის ხელმძღვანელობამ, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისა და თანმდევი ღონისძიებების ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფის მიზნით, შეიმუშაოს რელევანტური კრიტერიუმები და დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომლის მიხედვით განისაზღვრება ხარვეზის გამოსწორების ვადები და განხორციელდება ხელშეკრულების ცვლილება ან გაიცემა დასაბუთებული უარი.

სამინისტროს – სამინისტროს ხელმძღვანელობამ საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანად განკარგვის მიზნით, გააძლიეროს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების შესრულებასთან დაკავშირებით.

**2.3.5 სამეცნიერო
ღირებულების
შეუფასებლობა**

კრიტერიუმი: ფონდი უფლებამოსილია მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს, თუმცა არ აქვს უფლება თავად შეაფასოს დასრულებული პროექტის სამეცნიერო ღირებულება. შემოწმების შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემდგომში საგრანტო კონკურსში მონაწილის მიერ წარდგენილი პროექტის შეფასებისას.⁵⁶

გარემოება: ფონდი ყოველწლიურად ახორციელებს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების დაფინანსებას შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით. 2017 – 2019 წლებში დაფინანსებული 30 სახეობის საგრანტო კონკურსის საკასო ხარჯი შეადგენს 50,849,179 ლარს. საგრანტო პროექტების ფარგლებში, დაფინანსებულია მრავალი დისციპლინისა და ქვედისციპლინის მიმართულებები, მაგალითად:

ცხრილი N10. ინფორმაცია რიგი დაფინანსებული პროექტების შესახებ

პროექტის სახელწოდება	ბიუჯეტი
შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება XXI საუკუნის ფორტეპიანოსა და მისი სამომავლო პერსპექტივების კვლევის მაგალითზე	175,660
კარიკატურის ასწლიანი ისტორია საქართველოში (1880-1980 წწ.)	170,000
საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე	176,989
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის კვლევა საქართველოში	177,200
სოციალური შეჭიდულობის მიება საქართველოს მცირე ურბანულ დასახლებებში	172,000

⁵⁶ გენერალური დირექტორის 13.07.2018 წლის 13 ივლისის N99 ბრძანების მე-9 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების მოთხოვნები.

ქართული ნაციონალური იდენტობა და „მეხსიერების ადგილები“: წარსულის კონსტრუირების დომინანტური და ალტერნატიული პერსპექტივები	149,880
სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა	141,932

იმის მიუხედავად, რომ დახარჯულია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები პროექტების დასაფინანსებლად, ფონდი მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში არ ახორციელებს მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულებისა და ეფექტიანობის შეფასებას.

დასკვნა

ფონდს არ აქვს დანერგილი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაკისრებული პასუხისმგებლობის ეფექტიან ადმინისტრირებას. ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული მმართველობის პოლიტიკა მიმართულია მხოლოდ პროექტების დაფინანსებისა და შესრულების პროცედურებისათვის. შედეგად, იმ პირობებში, როდესაც ფონდი ყოველწლიურად ხარჯავს მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსურ რესურსს, არ აქვს ინფორმაცია შედეგზე, დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულებასა და ეფექტიანობაზე.

რეკომენდაცია N9

ფონდის ხელმძღვანელობამ საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი მართვის მიზნით, უზრუნველყოს საგრანტო პროექტების სამეცნიერო ღირებულებისა და ეფექტიანობის შეფასება, რაც გაწეული საქმიანობის შედეგების ანალიზის საშუალებას მისცემს. შეფასების შედეგები შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნეს შემდგომში საგრანტო კონკურსში მონაწილის მიერ წარდგენილი პროექტის შეფასების პროცესში.

აუდიტორები

ხელმოწერა

გურამ დუმბაძე

მთავარი აუდიტორი




ლაშა ჩივიაშვილი

აუდიტორი



ირაკლი დალაქიშვილი

აუდიტორი



მაკა წოწონავა

აუდიტორ-ასისტენტი



საკონტაქტო ინფორმაცია

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38